

კლიმატის ცვლებადობის გავლენა მდინარის ჩამონადენზე
(მდინარე ვერეს მაგალითზე)

*მერაბ ალავერდაშვილი, გიორგი ბრეგვაძე, დარეჯან კიკნაძე, ნუნუ ცინცაძე,
ნესტან ხუფენია, ნანა კოკაია*

ელ-ფოსტა: merab.alaverdashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 3

გლობალური დათბობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინსტრუმენტულ ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა სისტემას. თსუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ არსებულ დაკვირვებული პერიოდისათვის (1963-2018) დადგინდა კლიმატის ცვლილების ციკლიური ცვლებადობა გასული საუკუნის 1963-1990; 1991-2000 და ახალი 21-ე საუკუნის 2001-2018 წლების პერიოდებისათვის, კერძოდ ზოგიერთი მეტეო ფაქტორების ზეგავლენა მდინარე ვერეს ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, ანუ საშუალო მრავალწლიური ხარჯების ცვლებადობაზე.

მივიღეთ, რომ პირველი პერიოდისათვის (1963-90) ჰაერის ტემპერატურები და ნალექები საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებლებთან, ნორმასთან ახლოს არიან და შესაბამისი წყლის ხარჯის მაჩვენებელიც ($0.93 \text{ მ}^3/\text{წმ}$) ნორმის ფარგლებშია. მეორე პერიოდში აღინიშნება ტემპერატურის მატება და ნალექების საგრძნობი შემცირება, შედეგად საკმაოდ შემცირებულია წყლის ხარჯის მაჩვენებელიც ($0.89 \text{ მ}^3/\text{წმ}$). მესამე პერიოდში კი ჰაერის ტემპერატურისა (14.1°C) და ნალექების (514 მმ) მაჩვენებლების გაზრდის შედეგად, რაც გამოიხატა უეცარი თავსხმა, ინტენსიური წვიმების შედეგად გახშირებული დიდი, მათ შორის კატასტროფული წყალმოვარდნებით, წყლის ხარჯის ნორმამ მოიმატა $1.15 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -მდე, რაც დამახასიათებელია და პირდაპირ კავშირშია კლიმატის ცვლილების ფაქტორებზე.